IT ბიზნეს ანალიზი

ლექტორი

ციცი აბჟანდაძე

კურსის დრო

19 შეხვედრა (42 საათი)

კურსის მიზანი

კურსი განკუთვნილია IT ბიზნეს ანალიზით დაინტერესებული პირებისთვის. მათთვის ვისაც აქვს სურვილი დაიწყოს სვლა აღნიშნული კარიერული მიმართულებით ან/და არის საწყის ეტაპზე. კურსი დატვირთულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილით და თითოეული მოდული დაფუძნებულია საუკეთესო პრაქტიკებსა და ლექტორის მრავალპროფილურ გამოცდილებაზე.

სასწავლო კურსის შინაარსი

ლექცია 1: ბიზნეს ანალიტიკოსი - როლი, ფუნქციები და გამოწვევები (2 სთ)

- რა არის ბიზნესის ანალიზი?
- ბიზნეს ანალიტიკოსის როლი და პროექტში შეტანილი ღირებულება (Value)
- ბიზნეს ანალიტიკოსის აზროვნება (Mindset) და პოზიციები, რომლებიც ბიზნეს ანალიზს ითავსებენ
- ბიზნეს ანალიტიკოსის კომპეტენციები და ცოდნის არეალი

ლექცია 2: სამუშაო ფრეიმვორქები და ბიზნეს ანალიტიკოსის აქტივობები (3 სთ)

- პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების სასიცოცხლო ციკლი (SDLC)
- Waterfall ფრეიმვორქი და ბიზნეს ანალიტიკოსის როლი
- Agile ფრეიმვორქი და ბიზნეს ანალიტიკოსის როლი
- ბიზნეს საჭიროების განსაზღვრა სხვადასხვა მეთოდით

ლექცია 3: პროდუქტის მოთხოვნები და ტიპები, მოთხოვნების მოპოვების პროცესი (2 სთ)

- რა არის მოთხოვნა და რა ტიპის მოთხოვნები არსებობს
- ფუნქციური და არაფუნქციური მოთხოვნები და კლასიფიკაციის მინიჭება
- კარგი მოთხოვნის მახასიათებლები, SMART კრიტერიუმი და აღნიშნულის გათვალისწინება მოთხოვნის ჩამოყალიბების პროცესში

ლექცია 4: მოთხოვნების მოპოვების ტექნიკები (2 სთ)

- მოთხოვნების შეგროვებასა და მოპოვების შორის სხვაობა
- მოთხოვნების მოპოვების ტექნიკების მიმოხილვა და მათი გამოყენების მაგალითები
- სიმულაციური თამაში

ლექცია 5: ტესტი #1 (1 სთ)

ლექცია 6: პროექტის მონაწილე მხარეები (2 სთ)

- პროექტის მონაწილე მხარეების იდენტიფიკაცია და იდენტიფიკაციის მეთოდები
- მონაწილე მხარეების ტიპები
- მონაწილე მხარეების ანალიზი და დამხმარე ხელსაწყოები
- მონაწილე მხარეების მართვა

ლექცია 7: ბიზნეს ანალიტიკოსის არტეფაქტები (2 სთ)

- რა არის არტეფაქტები?
- არტეფაქტების ტიპები
- User story & Use cases

ლექცია 8: მოთხოვნების სასიცოცხლო ციკლის მართვა (2 სთ)

- მოთხოვნების სასიცოცხლო ციკლის მიმოხილვა
- ბიზნეს ანალიტიკოსის ამოცანები მოთხოვნების სასიცოცხლო ციკლის მართვის პროცესში
- მოთხოვნების პრიორიტეტიზაცია და ტექნიკები

ლექცია 9: ტესტი #2 (1 სთ)

ლექცია 10: პროდუქტის მოთხოვნების მოდელირება #1 (3 სთ)

- მოთხოვნების მოდელირება - ბენეფიტები და შეზღუდვები
- მოთხოვნების მოდელირების გამოყენება
- სხვადასხვა დიაგრამის ტიპების აგება და გამოყენება და მაგალითები, როგორიცაა: Context diagram, Mind map, Process flow diagrams.
- ***დავალება***

ლექცია 11: პროდუქტის მოთხოვნების მოდელირება #2 (3 სთ)

- Use-case diagrams, swim line diagrams გამოყენება და მაგალითები
- BPMN დიაგრამის კომპონენტები, გამოყენება და მაგალითები
- ეფექტური დიაგრამის აგების რეკომენდაციები და ინსტრუმენტების მიმოხილვა
- ***დავალება***

ლექცია 12: ტესტი #3 (1 სთ)

ლექცია 13: პროექტის ფუნქციონალური დანაწევრება და პროექტის შინაარსის მართვა (2 სთ)

- რა არის ფუნქციონალური დანაწევრება
- რატომ არის საჭირო პროექტის შინაარსის მართვა და რა უარყოფითი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს პროექტის შინაარსის უმართაობამ?
- პროექტის ფუნქციონალური დანაწევრების ამოცანები, დანაწევრების დონეები და გამოყენება
- დანაწევრების მეთოდები
- *პრაქტიკული ამოცანა ლექციის მიმდინარეობის დროს*

ლექცია 14: ბიზნეს ანალიზის სამუშაოს შეფასება, რისკები და ცვლილებების მართვა პროექტში (2 სთ)

- შეფასების საჭიროება და ღირებულება, ბიზნეს ანალიზის სამუშაოს შეფასების მეთოდები
- რისკები ანალიზის პროცესში და რისკების გამკლავების მეთოდები
- მოთხოვნის ცვლილების ტიპები, ცვლილებების სია და ცვლილებების მართვის გეგმა

ლექცია 15: პროდუქტის დეველოპმენტთან დაკავშირებული ტერმინოლოგია (2 სთ)

- რა არის Backlog? Backlog-ის მართვა
- რა არის Spike?
- რა არის POC?
- რა არის პროტოტიპები?
- User acceptance testing (UAT) – Pre & Post conditions
- ბიზნეს ანალიტიკოსის ტერმინოლოგია

ლექცია 16: ხელოვნური ინტელექტის გამოყენება აიტი ბიზნეს ანალიზში #1 (2 სთ)

- რა არის ხელოვნური ინტელექტი (AI)?
- როგორ მუშაობს ხელოვნური ინტელექტი?
- AI-ის ძირითადი გამოყენება ბიზნეს ანალიზში
- AI Tools ბიზნეს ანალიტიკოსებისთვის
- გამოწვევები AI-ის გამოყენებაში

ლექცია 17: ხელოვნური ინტელექტის გამოყენება აიტი ბიზნეს ანალიზში #2 (2 სთ)

- AI-ის ძირითადი გამოყენება ბიზნეს ანალიზში
- AI Tools ბიზნეს ანალიტიკოსებისთვის
- პრაქტიკული ქეისები AI გამოყენებით და მაგალითები

ლექცია 18: ტესტი #4 (1 სთ)

ლექცია 19: შემაჯამებელი ლექცია (2 სთ)

- ბიზნეს ანალიტიკოსისთვის საჭირო უნარების მიმოხილვა
- ბიზნეს ანალიტიკოსისთვის საჭირო პლატფორმების მიმოხილვა
- ფინალური პროექტის მიმოხილვა

ლექცია 20: ფინალური პროექტების პრეზენტაცია (5 სთ)

სასწავლო კურსის შედეგები

კურსის მსმენელები შეისწავლიან:

- რა როლი აქვს ბიზნეს ანალიტიკოს IT პროექტებში, რას და როგორ აკეთებენ ბიზნეს ანალიტიკოსები;
- რა სამუშაო ფრეიმვორქები არსებობს და როგორ იგეგმება ბიზნეს ანალიტიკოსის აქტივობები თითოეულის ჭრილში;
- პროექტისთვის საჭირო არტეფაქტების იდენტიფიკაციას და ეფექტური user story - ების წერას;
- მოთხოვნების სასიცოცხლო ციკლის მართვას, პროდუქტის მოთხოვნის ტიპებს და მათი მოპოვების ტექნიკებს;
- პროექტში ჩართული მხარეების იდენტიფიკაციას, მათ ანალიზს და მათთან ეფექტურ კოლაბორაციას;
- პროექტის მართვის პროცესში საჭირო დიაგრამების აგებას და მათ გამოყენებას;
- პროექტში ბიზნეს ანალიტიკოსის საქმიანობის შეფასებას, ბიზნეს ანალიზის რისკების იდენტიფიცირებას და მათთან გამკლავების გზებს;
- AI ხელსაწყოების გამოყენებას IT ბიზნეს ანალიზში;
- პროექტის დროს შესაძლო ცვლილებების მართვასა და ნეგატიური ეფექტების თავიდან არიდებას.

სასწავლო კურსის მოთხოვნები

- მონაწილეს სასურველია ჰქონდეს სამუშაო გამოცდილება;
- კურსის მონაწილე უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას იმ დონეზე, რომ შეძლოს ინგლისურენოვანი მასალის წაკითხვა და გარჩევა.

ლექტორის შესახებ

- ციცინო აბჟანდაძეს აქვს 8+ წლიანი სამუშაო გამოცდილება IT და ბიზნეს ანალიზის სფეროში, სხვადასხვა როლის ფარგლებში, მათ შორის: Business Analyst, Senior/Lead Business Analyst, Systems Analyst, Product Owner;

- ამჟამად მუშაობს Lead Business/Systems Analyst-ის პოზიციაზე EPAM Systems-ში, სადაც ჩართულია AI პროექტში - იურიდიული მართვის სისტემისთვის ვირტუალური ასისტენტის შექმნაში;
- გააჩნია გამოცდილება სხვადასხვა დომენში: EIM, იურიდიული ოპერაციები, ადამიანური რესურსების მართვა, ფინანსური მიმართულება და ERP გადაწყვეტილებები (მათ შორის Business Central, OpenText Document Management);
- ფლობს ისეთი ხელსაწყოების პრაქტიკულ გამოცდილებას, როგორიცაა Jira, Confluence, Azure DevOps, Camunda , Draw.io და ა.შ. ;
- არის PMI-ACP სერტიფიცირებული, Certified Technical Interviewer, Assessment committee expert, ატარებს ტექნიკურ გასაუბრებებს და მუშაობს BA გუნდის მართვასა და მენტორობაზე;
- აქვს მაგისტრის ხარისხი ფინანსებში (კავკასიის უნივერსიტეტი) და დამატებითი პროფესიული სერტიფიკატები IT ბიზნეს ანალიზისა და პროექტების მართვის მიმართულებით.